



MES 0 22 0001247836



07/10/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 23 სექტემბერს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/85989058061?pwd=Z09oYmw2VCtveWpkMHFBNmtlR1VIUT09>

Meeting ID: 859 8905 8061

Passcode: 333799

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - საბჭოს თავმჯდომარე;

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს წევრი;

თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თამარ ჯაფარიძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი:

გარი ჩაფიძე - დირექტორი

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,

მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი,

გვანცა ბერუაშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,

მაგდა დავითაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

თეონა ხუფენია - რექტორი,

მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი,

ქეთევან ლომია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:

ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

თემურ კახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს დირექტორი,

ბესიკ შავიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრი:

სილოვან ჩინჩალაძე - დირექტორი.

სსიპ კასპის კოლეჯი:

დემეტრე დემეტრაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი,

მიხეილ გოგოლაძე - ინსტრუქტორი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მამუკა გოგელია,

თეა ბაქრაძე,

თინა შელია,

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ითხოვა ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის /01429/ „რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის /01431/ „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის /01453/ „პრაქტიკული ბუღალტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. „ა(ა)პ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის „ვეტერინარი ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №1272754 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. „სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს დღის წესრიგთან დაკავშირებით, და დასძინა, რომ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხი საბჭოს

განეხილა თავიდან, ვინაიდან ეს საკითხები ეხებოდა შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანას დაწესებულებების მიერ ცენტრში წერილების წარმოდგენის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა **განახლებული დღის წესრიგი**:

1. „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. „ა(ა)პ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის „ვეტერინარი ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №1272754 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის /01429/ „ რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის /01431/ „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის /01453/ „პრაქტიკული ბუღალტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

ამის შემდეგ საბჭოს სხდომა დაიწყო განახლებული დღის წესრიგის მიხედვით

1. „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ კახიძემ. იგი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ.

მან ყურადღება გაამახვილა დასაქმების სააგენტოსთან რამოდენიმე წლიან თანამშრომლობაზე. მან დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება ქართული სამუშაო ძალისთვის არის ახალი შესაძლებლობა და პირველად ხორციელდება მსგავსი ტიპის პროგრამა საქართველოში. რაც შეეხება დროის შემცირებას, დასაქმების სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი და შესაბამისად წლის ბოლომდე უნდა დაასრულონ სწავლება, რაც არის ერთ-ერთი გამოწვევა, გამარჯვებული ტენდერში არის შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, მეორეს მხრივ დასაქმების სააგენტოს ჰქონდა პროგრამის ბენეფიციარებთან სამუშაო შეხვედრები გამართული, ასევე, გამოცხადებული იყო კონკურსი, რომლისთვისაც შემუშავებული იყო კრიტერიუმები,

შესაბამისად, ღებულებდნენ პირებს, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული სამუშაო გამოცდილება სტუმართმასპინძლობის სფეროში და ასევე ფლობდნენ ინგლისურ ენას. შესაბამისად, ეს პირები ინფორმირებულები არიან იმ თავისუფალი 25 ადგილის შესახებ, რომლის დაფინანსებასაც მიმდინარე წელს განახორციელებს დასაქმების სააგენტო.

ასევე, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა 87 ადამიანი, მათ შორის 25 ადამიანი შეირჩა.

მან დასძინა, რომ შერჩეული აპლიკანტები არიან არა მხოლოდ ისინი, ვინც პროფესიული ნიშნით წარადგენს საქართველოს ქვეყნის შიგნით და გარეთ, არამედ ისინი კულტურათა ცვლაში მიიღებენ მონაწილეობას. ასევე, მათ შესაძლებლობა ექნებათ სხვადასხვა კუთხით წარადგინონ საკუთარი თავი. აღნიშნული აპლიკანტები არიან სხვადასხვა პროფესიის და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანები, რაც არის დიდი შესაძლებლობა პირველი ნაბიჯის გადასადგმელად. რაც შეეხება ეკონომიკურ შესაძლებლობას, ამ ეტაპისთვის არის სამი პარტნიორი კომპანია, მათ შორის ორი ევროპული.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები ფორმალურ განათლებას არ ითხოვდნენ გემზე სამუშაოდ წასასვლელად, მაინც მნიშვნელოვანი იყო ფორმალური განათლების ჩარჩოში მოქცეულიყო ეს პროგრამა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა ბაზარზე სხვადასხვა ტრენინგ ცენტრების გაჩენა, რომლებიც გაცემდნენ სერთიფიკატს, დამსაქმებლისთვის კი ნაკლებად შესაძლებელი გახდებოდა სერთიფიკატების მიღმა ცოდნის დადასტურება.

მან კიდევ ერთხელ მაძლობა გადაუხადა საბჭოს და ცენტრის წარმომადგენლებს და გააჟღერა ერთ-ერთი პარტნიორი კომპანიის შეთავაზება იმის თაობაზე, რომ „სამგზავრო გემის მიმტანის“ ანაზღაურება მათ კომპანიაში არის 2400-2600 დოლარი თვეში, გარდა ამისა, ისინი მიიღებენ დანამატსაც და საშუალოდ თვეში 3000 დოლარამდე იქნება მათი ანაზღაურება.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მაძლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და თხოვა დაეკონკრეტებინა კონკრეტულად ამ შემთხვევაში ითხოვს დაწესებულება კვირების შემცირებას გამონაკლისის სახით, თუ ზოგადად 12 კვირიანი გახდებოდა პროგრამა. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ მისთვის დამსაქმებელის მოთხოვნის გათვალისწინება მისაღები და მნიშვნელოვანი იყო.

თემურ კახიძემ უპასუხა, რომ სააგენტოს ტენდერი გამოცხადებული ჰქონდა წლის ბოლომდე და უნდა მომხდარიყო მისი დასრულება არაუგვიანეს 27 დეკემბრისა.

ამ კითხვასთან დაკავშირებით ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნათია მიქელთაძემ განაცხადა, რომ რადგან მოხერხდა და უმტკივნეულად გადაეწყო აღნიშნული პროგრამა 12 კვირიან ხანგრძლივობაზე, გაგრძელდება ასე, თუმცა დანამდვილებით ამ კითხვაზე პასუხს მაშინ მივიღებთ, როცა პირველი ნაკადის გამოშვება მოხდება.

მან ასევე დასძინა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისური ენა პროფესიული ტერმინებით და პირველი ნაკადის გამოშვების შემდეგ შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, დაძლევადია ეს თუ არა. აქედან გამომდინარე დანამდვილებით ძნელია თქმა, თუმცა, სავარაუდოდ პროგრამა დარჩება 12 კვირიანი. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულება გაფორმებული საკრუიზო კომპანია „კოლუმბიასთან“ იმის თაობაზე, რომ წლის განმავლობაში მივაწოდებთ 120 სამგზავრო გემის მიმტანს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის ინტერესია, რომ 12 კვირაში განახორციელოს აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მაძლობა გადაუხადა საკითხის წარმდგენებს და საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ 2022 წლის 14 და 16 სექტემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილი წერილების (ცენტრში რეგისტრაციის №1080186 და №1100911), პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447198 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

2. „ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის „ვეტერინარი ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №1272754 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ცენტრი ახორციელებს „ვეტერინარი ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადების პროგრამას. ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრს მიმართა წერილით, სადაც გაცხადებულია ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ მიმდინარე ჯგუფებში გამოიკვეთა პროგრამის ხანგრძლივობის ვადის გაზრდის საჭიროება, ვინაიდან, პროგრამაში ჩართული პირები არიან სხვადასხვა რეგიონებიდან, შესაბამისად მათი ქუთაისში გაჩერება გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, აქედან გამომდინარე, მათ მიიღეს გადაწყვეტილება კვირის დღეების გათვალისწინებით, რომ საათობრივი დატვირთვა შეემცირებინათ და საერთო ჯამში 14 კვირიანი პროგრამა გაეზარდათ 21 კვირამდე, აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიებში მცხოვრები პირების აღნიშნულ პროგრამაში სრულყოფილად ჩართვას.

ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მთავარი არგუმენტი იყო სწორედ ეს, ცენტრი კი მისაღებად თვლიდა მათ ინიციატივას პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. მან ასევე დასძინა, რომ პროგრამა არ იცვლება შინაარსობრივად თემატიკის კუთხით, ცვლილებაა მხოლოდ ხანგრძლივობის საკითხში.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მაღლობა გადაუხადა ქალბატონ ლანას და მიმართა „ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრის“ წარმომადგენელს ბატონ სილოვან ჩინჩალაძეს, ხომ არ სურდა რაიმეს დამატება საკითხთან დაკავშირებით.

ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ქალბატონმა ლანამ შესანიშნავად წარადგინა საკითხი, იყო ამომწურავი და არ იყო საჭირო რაიმეს დამატება.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი აპლიკანტი ჩაირიცხა აღნიშნულ პროგრამაზე. ბატონმა სილოვანმა განაცხადა, რომ 12 აპლიკანტი ჩაირიცხა აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც მსმენელებს სიარულის და ტრანსპორტირების გამო ჰქონდათ მეცადინეობებზე დასწრების პრობლემები, სწორედ აქედან გამომდინარე გადაწყვიტეს პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდა, რაზეც იმედოვნებდნენ, რომ საბჭოს წევრები დაუჭერდნენ მხარს და მიიღებდნენ დადებით გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა საკითხის წარმდგენებს და საბჭოს წევრებს მიმართა ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. დამატებითი კითხვები არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარეებ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის „ვეტერინარი ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №1272754 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

იურიდიული პირის მიერ 2022 წლის 5 სექტემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №998989), პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის „ვეტერინარი ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №1272754 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

3. „სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ კასპის კოლეჯის შემთხვევაშიც პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდას ეხება საკითხი. პროგრამის სახე არის მომზადება „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“. მან დასძინა, რომ როგორც ყველასთვის ცნობილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს მსმენელთა გამოკითხვასაც, დაწესებულების მიერ არსებული კითხვარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკის კომპონენტის ხანგრძლივობა, რომელიც 4 კვირის განმავლობაში ხორციელდებოდა და შეადგენდა ჯამში 160 საათს, კურსდამთავრებულებისთვის არ იყო კომფორტული და მისაღები, შესაბამისად დადგა საჭიროება გაზრდილიყო პროგრამა 4 კვირით და 12 კვირიანი პროგრამა გახდა 16 კვირიანი. პროგრამა შინაარსობრივად არ არის შეცვლილი, მხოლოდ იზრდება ხანგრძლივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ლანა გაჩეჩილაძეს და მიმართა კოლეჯის წარმომადგენელს დემეტრე დემეტრაშვილს კითხვით, ხომ არ უნდოდა დამატებით რაიმეს თქმა. კოლეჯის წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და განმარტა, რომ რადგან სტუდენტების მხრიდან წამოსული იყო ინიციატივა პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდის თაობაზე, დაწესებულებამ გაითვალისწინა მათი თხოვნა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის მოკლევადიანი და მსმენელები არიან ძირითადად დასაქმებული პირები, მათთვის დღეში 8 საათი ლექცია და კოლეჯში ყოფნა არ იყო შესაძლებელი, შესაბამისად დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდის და კვირეული საათობრივი დატვირთვის შემცირების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა ცენტრის და კოლეჯის წარმომადგენელს და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ 2022 წლის 2 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №866123), პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 3**).

4. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის /01429/ „ რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის ცნობილი იყო ექსპერტების დასკვნა, დასკვნაში ხარვეზი არ ფიქსირდება. მან მიმართა კოლეჯის წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აღნიშნული საკითხის შესახებ.

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის დროს გამოვლენილი კოლეგიალურობისათვის, რომელმაც კოლეჯის მოტივაცია გაზარდა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტების გადაწყვეტილებას მთლიანად ეთანხმება დაწესებულება და ყველაფერს გააკეთებს, ისე როგორც აღნიშნული იყო დასკვნაში. კოლეჯის დირექტორმა ასევე აღნიშნა, ისიც, რომ იყო გარკვეული ტექნიკური უზუსტობა a/c სივრცეებთან დაკავშირებით, თუმცა ამ დროისთვის ეს საკითხი გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯში ვიზიტი განახორციელეს ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა მამუკა გოგელიამ და დასძინა, ხომ არ ჰქონდათ სურვილი საკითხის შესახებ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება.

დარგის ექსპერტი მამუკა გოგელია მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ იყო გარკვეული ტექნიკური უზუსტობები. იქიდან გამომდინარე, რომ მათ არ ჰქონდათ ბაზასთან მუშაობის გამოცდილება, თუმცა ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები. მხოლოდ ერთ ნაწილში იყო თემატიკაში ჩასამატებელი „საფეხმავლო ტურის სპეციფიკა“, დანარჩენ შემთხვევაში ყველაფერი იყო რიგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და მიმართა ლანა გაჩეჩილაძეს, საბჭოსთვის წარედგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების ფოტოები.

ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტო მასალა, რომელიც იყო ორგვარად მოწყობილი წრიული-სამუშაო პროცესისთვის, ხოლო მეორე მხარეს სტანდარტულად მერხები და სკამები. მან განაცხადა, რომ მატერიალური რესურსი და სასწავლო ლიტერატურა იყო ადგილზე წარმოდგენილი და ასევე, აღნიშნა ისიც, რომ დაწესებულება არის ავტორიზებული და მას გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც ასევე შეიძლება სასწავლო რესურსებთან წვდომა. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს განახორციელეს სასწავლო გარემოების დათვალიერება, გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, სწავლებაში ჩართულია პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელიც, რომელიც არის მოქმედი გიდი. მან ასევე დასძინა, რომ აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია ძველი ქართული დამწერლობის სწავლება, რასაც ასაბუთებენ იმით, რომ ტურისტებს ძალიან მოსწონთ, როდესაც კონკრეტულ ადგილზე ყოფნის დროს ძველი ქართული წარწერის წაკითხვა ვინმეს შეუძლია. ეს ფაქტი კარგ ფონს ქმნის, რაც ექსპერტებს მიაჩნიათ განსხვავებულად და დადებით მხარედ.

გარდა ამისა, ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მერიასთან და ამ თანამშრომლობის ფარგლებში აპირებენ ორი ტურის მოწყობას თანადაფინანსებით, ასევე,

კოლეჯს ყავს საკუთარი ტრანსპორტი, რომელიც გადაადგილებას უზრუნველყოფს, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯი წინასწარ ფიქრობს მსგავს საკითხებზე და თავიდანვე იწყებს ამ საკითხების მოგვარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკითხის წარმდგენებს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამაში მითითებულია, როგორც ქართულენოვანი, რაც არის კარგი, რადგან სხვა მსგავს პროგრამებთან მიმართებაში იყო ხოლმე კითხვები ამასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისათვის /01429/ „ რეგიონული ტურისტული მეგზურის (ქართულენოვანი)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯს მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროგრამა - რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი) /01429/ **(დანართი 4)**.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნათია კვიციანი

5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის /01431/ „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის ცნობილი იყო ექსპერტების დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სანამ დაიწყებდნენ საკითხის წარდგენას, კარგი იქნებოდა ბოლო ორი საკითხის იდენტური ხარვეზის განხილვა, რაც ეხებოდა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამას და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „პრაქტიკული ბუღალტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამას.

ორივე დაწესებულების შემთხვევაში დაფიქსირებულია ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტში. მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. მან დასძინა, რომ იმის მიუხედავად, რომ გარკვეული შეუსაბამობაა ქვესტანდარტთან მათი პრაქტიკიდან გამომდინარე და ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე დაწესებულება არის ავტორიზებული, ნდობას უცხადებენ მათ და ამ საკითხს სხვა საბჭოს წევრების თანხმობით ხსნიან განხილვიდან.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორივე უნივერსიტეტის წარმოებაში თვითონ იყო ჩართული პირადად და ორივე დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ვიზიტის დროსაც მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ნაკლებია უახლოეს მომავალში რაიმე რისკი შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მარიამ ქუჩულორიამ საბჭოს წევრებს სთხოვა ნაკლები ყურადღება გაემახვილებინათ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარედგინა პრეზენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო წარმოდგენილი პროგრამა, აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 15 საათი, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში მინიმუმ - 6 და მაქსიმუმ - 10 მსმენელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის შემუშავების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარდა დარგში არსებული სიტუაციური ანალიზი და გამოიკვეთა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემატიკით დაინტერესებული და უშუალოდ ლაბორატორიულ საქმიანობაში ჩართული პირების გადამზადების საჭიროება. გამოიკითხა სულ 2454 რესპოდენტი და გამოკითხულთა უმრავლესობამ დააფიქსირა ლაბორატორიული ჯანმრთელობის კუთხით ცოდნის ამაღლების სურვილი. მან ასევე დასძინა, რომ კახეთის რეგიონში მსგავსი ტიპის პროგრამა არ არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანია მისი განხორციელება. მან ასევე ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელი პირების გამოცდილების შესახებ, სასწავლო რესურსის შესახებ და ყურადღება გაამახვილა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებზე. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიები არის მაღალი კლასის და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, ასევე საბჭოს წევრებს წარუდგინა ამ ლაბორატორიებისა და მასში არსებული აღჭურვილობის ფოტო მასალა. ასევე ისაუბრა როგორც ქართველი, ისე უცხოელი პარტნიორების შესახებ და ინფორმაციის გავრცელების გზების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საკითხის წარდგენის შემდეგ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის,

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს საკითხის ამომწურავად წარდგენისათვის და აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იყო ლაბორატორიების ფოტო მასალის ჩვენება.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა თუ რას ითვალისწინებდა საერთაშორისო თანამშრომლობა, ეს არის მხოლოდ პროგრამის შექმნის პირველ ეტაპზე ჩართულობა, ერთობლივი სერტიფიკატი თუ რას გულისხმობს თანამშრომლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც ტერამოს, ისე მილანის უნივერსიტეტის თანამშრომლები პანდემიის პერიოდში 2021 წელს ონლაინ ატარებდნენ ლექციებს, შემდეგ უკვე განხორციელდა ვიზიტები მათთან, დაიყო ორ ჯგუფად დაწესებულების ტრენერები, სამედიცინო და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულების ტრენერების ჩასვლა მოხდა მილანში. ისინი გადამზადდნენ და გადაეცათ სერტიფიკატები. ასევე მან აღნიშნა, რომ საინტერესო იყო მილანში მეოთხე დონის ბიოუსაფრთხოების კაბინეტში მუშაობა. ნიკოლოზ მესხიშვილმა თხოვა დაზუსტება, ახალი ნაკადის მიღების პერიოდში თუ შეძლებდნენ მსგავს აქტივობაში ჩაბმას და როგორ მოხდებოდა ეს ყველაფერი, ჩართული იქნებოდა თუ არა თარჯიმანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მილანში ვიზიტი, მხოლოდ ტრენერებისათვის იყო, მათ გადასამზადებლად, რომლებიც შემდეგ განხორციელებენ აღნიშნულ პროგრამას ქართულ ენაზე. თუმცა ისიც გააჟღერა, რომ სასწავლო ვიზიტის ფარგლებში შეიძლებოდა განხორციელებინათ მილანის უნივერსიტეტში ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკითხის წარდგენისთვის დაწესებულების წარმომადგენელს და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის /01431/ „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება /01431/ (დანართი 5).

6. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის /01453/ „პრაქტიკული ბუღალტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოსდომარემ მ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის ცნობილი იყო ექსპერტების დასკვნა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიამ. იგი მიესალმა საბჭოს წევრებს და წარადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა „პრაქტიკული ბუღალტერია“. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა რეგიონის მოთხოვნებს უპასუხოს, რაც გულისხმობს თავისთავად დასაქმების ხელშეწყობასაც. მან დასძინა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზარს შესთავაზოს პრაქტიკოსი ბუღალტერი, რომელიც შეძლებს: განახორციელოს ბუღალტრული გატარებები, შეადგინოს პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაცია გარე და შიდა მომხმარებლებისათვის, ბუღალტერია აწარმოოს ელექტრონულად, წინასწარი მონაცემების საფუძველზე შეავსოს საგანმანათლებლო დეკლარაციები. ამასთან მსმენელს დაეხმაროს დასაქმებისთვის საჭირო ისეთი რბილი უნარების შექმნა განვითარებაში, როგორცაა პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური უნარები, რაც მას საშუალებას მისცემს გაზარდოს მისი კონკურენტუნარიანობა თანამედროვე შრომით ბაზარზე. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები და აღნიშნა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომართვიანობა ყოველწლიურად იზრდება და აჭარბებს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობას. თუმცა მაღალია გადინების მაჩვენებელიც (40%), რომელიც აიხსნება შემდეგით: უმეტესობა სტუდენტებისა მუშაობენ, აქვთ საკუთარი მცირე ბიზნესი და მათი ინტერესის და შესწავლის სფეროს უფრო მეტად წარმოადგენს მოკლე დროში პრაქტიკული ბუღალტერიის შესწავლა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სტატისტიკა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. კვლევის მიხედვით, გამოიკითხა 2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა 71,1% (32 პირი). 2 წლის დასაქმების ჯამური მაჩვენებელია 81,25 %(26), აქედან სპეციალობით - მიღებული კვალიფიკაციით დასაქმდა 43,75% (14) კურსდამთავრებული. აღნიშნული კვლევებით დგინდება, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების განვითარების პერსპექტივებს. დაწესებულების ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა განმახორციელებელი პირების შესახებ, რომლებიც იქნებიან „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული მომზადების პროგრამაში განმახორციელებელი პირები, რომლებიც გადამზადებულნი არიან რბილი უნარების განვითარების განხრით, ასევე ისაუბრა ინფორმაციის გავრცელების გზებსა და პარტნიორული ქსელის შესახებ და გამოთქვა დიდი მოლოდინი პროგრამის წარმატებით განხორციელების.

საბჭოს თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა საკითხის წარმდგენს და საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრმა მარიამ ზაქარეიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნეს რომ, ეს იყო პირველი შემთხვევა რბილი უნარების ინტეგრირებისა პროგრამაში და ეს მისასალმებელია. ლანა გაჩეჩილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, რომლებიც იყვნენ გადამზადებულები რბილის უნარების განხრით და გასაუბრების დროს არ დარჩენილა კითხვის ნიშანი მათ კომპეტენციასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხის შესახებ ასევე ისაუბრა ექსპერტმა თინა შელიამ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოახდინეს დაწესებულების ხელმძღვანელთან და თანამშრომლებთან გასაუბრება. ასევე ისაუბრა განმახორციელებელი პირების შესახებ. პროგრამას ჰყავს დარგის განმახორციელებელი პირი და ასევე რბილი უნარების განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს გადამოწმდა მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, ასევე დათვალიერებულ იქნა სასწავლო რესურსი და გარემო. დაწესებულებას გააჩნია A და B გარემო. A გარემოში მიმდინარეობს რბილი უნარების კომპონენტის განხორციელება, ხოლო B გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

ექსპერტის მიერ გაცემული იქნა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია

1.6. ქვესტანდარტთან დაკავშირებით - ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ პროგრამაში, სწავლების მე-14 სასწავლო კვირას გასავლელი განსაზღვრული სწავლის შედეგის (rs-ზე მუშაობა) თემატიკაში ნახსენებია საგადასახადო დეკლარაცია (მონაცემთა ინფორმაცია), რომელიც „გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით (ბრძ. №313) გაერთიანდა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციასთან და ჩამოყალიბდა განახლებული ფორმით. რეკომენდებულია გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა.

დარგის ექსპერტმა წარმატება უსურვა დაწესებულებას და აღნიშნულ პროგრამას.

დაწესებულების ხელმძღვანელმა თეონა ხუფუნამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გამოირჩევა საპილოტე პროგრამებით. სამინისტროს გამოწვევებს მუდვიმად პირველი პასუხობს რეგიონში და უხარია, რომ პირველმა განახორციელა აღნიშნული მოკლევადიანი პროგრამა. ასევე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ პროფესიული განათლება ყოველთვის დიდი გამოწვევების წინაშე დგას და ნებისმიერმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაიზიაროს ის დოკუმენტები და რეგულაციები, რომლის წინაშეც დგას საგანმანათლებლო დაწესებულება. ქალბატონმა თეონამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და უნარების სააგენტოს გაწეული შრომისთვის.

ცენტრის წარმომადგენელმა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ რბილი უნარების შემოტანა პროგრამებში იყო სამინისტროს დ, ამ ეტაპზე სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარე. ცენტრიც თავის მხრივ უზრუნველყოფს რბილი უნარების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეძლო ამ პროგრამაში ინტეგრირება რბილი უნარების და შედეგის დანახვა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. მან დასძინა, რომ არიან დაწესებულებები, რომლებსაც, მსგავსად აქვთ აგებული პროგრამები და შემოტანილი ცენტრში განხორციელების მოპოვების მიზნით და მათთანაც მოხდება ყურადღების გამახვილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ქალბატონმა ნანიმ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და წარმატებები უსურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის /01453/ „პრაქტიკული ბუღალტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პრაქტიკული ბუღალტერია /01453/ (დანართი 6).

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01310	სამგზავრო გემის მიმტანი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	60	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01212	ვეტერინარი ტექნიკოსი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	21	ქართული	12	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №11ა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01093	ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მესამე	16	ქართული	30	ქ. კასპი, აღმაშენებლის ქ. №168 ვ

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01429	რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	10	ქ. რუსთავი, შვეჩენკოს ქ. №5

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01431	ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	4	ქართული	30	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტი ს ქ. №1

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01453	პრაქტიკული ბულალტერია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	15	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14